№ 185
ხუთშაბათი, 1 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 185
ხუთშაბათი, 1 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 0 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**კნეინა ანნა ნიკოლოოზის ასული და კნ. ევდუქსი ზაალის ასული ავალიშვილისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა—პირველი შვილისა ხოლო მეორე ძმისა—**თავადის ივანე ზაალის ძის ავალიშვილისას,** რომლის დასაფლავება დანიშნულია 1 სექტემბერს, ს. ბრეთის, წმ. გიორგის ეკკლესიაში.

---

დღეს, ხუთშაბათს, 1 სექტემბერს ინგლისელ-ამერიკელი ცირკი გუბერტ კუკისა გაჰმართავს საცხენოსნო საუცხოო წარმოდგენას.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი, აგრეთვე ჟონგლერების მეფე ბ-ნი კლაუდე ცხენით და რუსი გიმნასტიორი ეკვილიბრისტი სტეფანოვი.

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება პროგრამაში და აფიშებში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი ზომიერია

**დირექტორი გუბერტ კუკი**

უფროსი გამგე ვოლდემარ სალამონსკი

---

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მმართველობა ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ ეს საზოგადოება 30 აგვისტოდგან გადავიდა სხვა სადგომში, გენერალ ტერ-ასატუროვის ნასახლარში, ერევნის მოედანზედ, სადაც წინად ტფილისის საგუბერნიო გამგეობა იმყოფებოდა. (3—6—1)

---

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთ უმორჩილესად ვაუწყებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში თხოვნების მიღება 25-ს აგვისტოს დაიწყება, მისაღები ეგზამენები კი 27-ს. პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი და 7—8 წლის მოსწავლე უეგზამენოდ მიიღება. მეორეში, მესამესა და მეოთხეში 6—8—10 შემთხვევითი ვაკანსია იქმნება. სწავლა 3-ს სექტემბერს დაიწყება.

ინსპექტორი სკოლისა ს. ყიფიანი

(6—6—6)

---

## ტფილისი, 1 სექტემბერი

სახელმწიფო საბჭო განიხილავს მალე ერთს ფრიად საყურადღებო პროექტს; ეს პროექტი შეეხება მშობელთა უფლების შეზღუდვას.

რუსეთის კანონის ძალით მამა სრული განმგებელი და უფალია, არა თუ თავის კეთილ-შენაძენისა, არამედ სამკვიდრო მამულისაც, რომელზედაც სრულ-წლოვანს შვილს არავითარი უფლება არა აქვს. მოკლებულია შვილი ამავე უფლებას მამის სიკვდილს შემდეგაც, თუ მამამ ინება და ანდერძით წილი არ დაუტოვა.

მაგრამ ახალის პროექტის ძალით, რომელსაც, უეჭველია, სახელმწიფო საბჭო დაამტკიცებს, მამის განუსაზღვრელს უფლებას ფრთები უნდა შეეკვეცოს და საკანონდებულო წილს მამის სამკვიდროდან შვილს ვერავითარი სურვილი და თვით-ნებელობა ვეღარ წაართმევს.

ამ გვარის კანონის საჭიროება დიდიხანია საგრძნობელი იყო და ვინ მოსთვლის, რამდენი შემაძრწუნებელი უბედურება ასცილდებოდა ქვეყანას, ეს კანონი რომ საკანონდებულო ყოფილიყო და სრულ-წლოვან შვილთა სამკვიდრო მამულში ერთი რამ მონაწილეობა ჰქონოდათ!

ქართველ მეფეთა კანონით და ჩვენის ერის ჩვეულებით სრულ-წლოვანს შვილს, არა თუ მამის სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლეშიც მონაწილეობა ჰქონდა მამა-პაპათა სამკვიდროში. ჩვენს მახსოვრობაშიც შვილი და მამა ისე განაწილდებოდნენ ხოლმე, როგორც ძმები, და ამ გვარი დანაწილება მამულისა არასოდეს არ ეჩვენებოდა ვისმეს რაიმე განსხვავებულ შემთხვევად, რაიმე ბუნების კანონის წინააღმდეგ საქმედ. ამ გვარად უყურებდა ქართველი ხალხი მამაშვილთა დამოკიდებულებას, და ამავე წესს ადგას გლეხობა დღესაც. მაგრამ უმაღლესს წოდებაშიკი შვილისაგან წილის გატანა მამის სიცოცხლეში სულ უფრო და უფრო იშვიათი შეიქნა, რადგანაც თავად-აზნაურ ობამ, როგორც უფრო განვითარებულმა ნაწილმა ერისამ, უფრო ადრე შეიტყო რუსეთის კანონი, რომელიც მამას სრულს უფლებას აძლევდა მამულის მოხმარებისას, შვილი-კი, თითქოს გარეშე ვინმე იყოსო, ღობეს გადაღმა იყო დარჩენილი და ყოველი ნივთიერ უფლება ახდილი ჰქონდა.

სამწუხაროდ, უმაღლესმა წოდებამ ეს კანონი უფრო ადრე გაიცნო და კიდეც გამოიყენა ცხოვრებაში...

რასაკვირველია, ჩვენის ახლანდელის ოჯახის აწეწილ და უწეს მდგომარეობის მიზეზი მრავალია, მაგრამ ერთ უმთავრეს მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ძველი ქართული კანონი და ჩვეულება გადავარდა და ახალმა ცხოვრებამაც სამაგიერო არა მოგვაწოდა-რა.

იქ, სადაც თითოეულს ადამიანს ზედმიწევნით ესმის თავისი მოვალეობაა, რა თუ ცოლისა და შვილის შესახებ, არამედ გარეშეთა შესახებაც, იქ, რასაკვირველია, საკანონდებულო კანონი, რომ შვილი აღზარდე და სამართლიანად მოექეციო, ყოვლად მეტი დარიგება და ჭკუის სწავლებაა. მაგრამ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი განათლება ჩვენ ჯერ არ გვღირსებია და ის კეთილი და გონიერი აზრები, რომელიც ძველმა ცხოვრებამ გვიანდერძა, ჟამთა ვითარების წყალობით ხელიდან გამოგვეცალა,—იმისი თქმა ხალხისათვის, რომ შენ სრული უფალი ხარ მამა-პაპათა სამკვიდროსი და შვილების დარდი ნუ გაქვსო, დიდად და დიდად სათრთხილო იყო. მაგრამ ახლა ამ კანონს, როგორც სწერენ, უკანასკნელი ჟამი დასდგომია და ძველი წესი ქართველის ერისა, რომელიც ათანასწორებდა მამათა და ძეთა უფლებას, თუ მთლად არა, მცირეოდნად მაინც იქნება შემოღებული საყოველთაო სავალდებულოდ.

უეჭველია, სტატისტიკა დაამტკიცებს, რომ ამ ახლად განზრახულის კანონის შემდეგ რუსეთში ბევრად და ბევრად შემცირდება რიცხვი დანაშაულობისა, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე ახლანდელი დამოკიდებულება მამათა და შვილთა შორის.

ამ მხრით ეს პროექტი არა თუ დროს შესაფერია, არამედ დაგვიანებულიც არის.

მეველე

## დეპეშა

27 აგვისტო

**პეტერბურგი.** 25 აგვისტოს ომსკში მივიდა პირველი მატარებელი ციმბირის რკინის გზისა. ამ მატარებელზედ იყო გზათა მინისტრი, რომელმაც გამოაცხადა, რომ სახალხო მატარებელის მიმოსვლა დაუყოვნებლივ დაიწყება, ხოლო საქონლის მატარებელი ოქტომბრის 15 დაიწყებს სიარულსაო.

28 აგვისტო

**პეტერბურგი.** ზღვათა სამინისტრომ ბრძანება გასცა, დიდის ყურადღებით დათვალიერებულ იქმნას ვოსრი-ტოკანიო ადგილი ჰელსინგფორთან, სადაც მეთევზეებს უნახავთ, რომ ზღვას პირზედ ქონი მოეგდო და აგრედვე გახრწნილ გვამის სუნი მოესმათ. ჰფიქრობენ, რომ სწორედ ამ ადგილას დაღუპულა გემი «რუსალკა».

იჟევსკის თოფის ქარხანაში დღე-და ღამ 20,000 კაცი მუშაობს და ჯარისთვის $^1/_2$ მილიონი თოფი უნდა მოამზადონ „მოსინაპის“ სისტემისა.

**პარიჟი.** გრაფი პარიჟისა გარდაიცვალა.

„Palais «d'Industrie»“ იუწყება, რომ გუშინ დაიწყო გამოფენა იმ საჩუქარისა, რომელიც საფრანგეთის კომიტეტმა უნდა მიართვას მემკვიდრე ცესარევიჩს, მისის უმაღლესობის ქორწინების სახსოვრად. საჩუქრად მოუმზადებიათ 100 კაცის სერვიზი, რომელიც შემკულია გამოჩენილ მხატვართა მიერ დახატულ სურათებით და საფრანგეთის ყველა პროვინციისა და ქალაქების გერბე-

---

## ფელეტონი

### ქართველ მაჰმადიან მესხების დაბრუნება ოსმალეთიდგან

(მესხის რაჯაბას ნაამბობი)

— ეჰ! რაღა გითხრა, ბატონო, შენ გეყურბანე, დავიღუპეთ ფუხარა ხალხი. ძველად რომ უთქვამთ: „თავად არ იყო ძმარი, შიგ გაურიეს წყალიო“, სწორედ ჩვენ დაგვემართა.

— ამობენ რაჯაბ, ეგ სულ მოლების ბრალიაო, ისინი აბრიყვებენ გულუბრყვილო ხალხს—სათათრეთში გადასახლებას ურჩევენო?

— რა მოგახსენო, ბატონო, ეგ იქნება მართალიც იყოს, მაგრამ უწორმახწოროდ მოლაპარაკე სხვა ხალხიც ბევრია. მე-კი ძრიელ გაჭირვებული ვიყავ, ყანა ცოტა მქონდა—სულ ორი დღიური. მერე ჩვენი სოფლისთანა გონჯი, დამწვარი ალაგი მთელ ახალციხის სამჯაყში არ იშოება, მეც ვსთქვი: ე ხალხი მიდის, წავყვები, ამაზედ უარესს იქ ხო აღარ შევეყრები-თქო. იმას-კი აბა რას მოვიფიქრებდი, შენი ჭირიმე, რომ „ვაის გავეყრებოდი და უის შევეყრებოდი“. ავიყარენით, რაც რამ გვებადა საროს-საბადებელი და საქონელი ნახევარ ფასად გავყიდეთ, ყანაც ჩემ ძმას შარიფას მივყიდე, ყველა მულქი ფულად ვაქციეთ და გაუდექით უცნობ გზას უცნობ ქვეყნისაკენ.

— კარგი, რაჯაბ, ე ჰკუამ რო მაგრე გაგიჭრათ, გული რაღას გიუბნებოდათ? თქვე კაი ხალხო, სად მიხვიდოდით, როგორ გაიმეტეთ თქვენი სამშობლო მიწა-წყალი, რად გასწირეთ ის ქვეყანა, სადაც დაბადებულხართ, აღზდილხართ, სადაც თქვენი მზე ამოდიოდა და თქვენი ბედის ვარსკვლავი ჰბრწყინავდა. როგორ მოშორდით იმ ალაგს, რომელიც თქვენს ათა-ბაბას სისხლით და ოფლით მოურწყავს. ვის მიეცით სალანძღავად — სათრეველად თქვენი მამა-პაპის სასაფლაო, საცა თქვენც უნდა ჩაგეყარათ თქვენი ჯაფით მოცვეთილი ძვლები!?

— ვეყურბანე, ბატონო, შენს გამჩენს, გეყურბანე ე მაგ სიტყვა-პასუხისთვის. რა მე და რა სხვა, ყველას გული გვიკვდებოდა, ცრემლები ყელში გვებჯინებოდა, მაგრამ გაჭირვებასაც, ი ოხერს, დიდი ძალა ჰქონია, ბატონო. ისიც ხო მოგეხსენება, შენი ჭირიმე, გლეხი კაცები ცხვრის ფარასავებ ვართ, თუ ერთი ცხვარი გადავარდა კლდეზე, სხვანიც თან გადაჰყვებიან. ე მაგრე რაღაც მავნე ქარმა ჩამოიარა, ყველას თითქო მოარული შეგვეყარაო, ვიძახდით, მივდივართო, და ჩვენც არ ვიცოდით, სად მივდიოდით და რისთვის მივდიოდით. ბევრი ვიტირეთ, ჯამებშიაც ნამაზი ვქენით, საფლავებზედაც ბევრი ვიტირეთ—ზოგმა დედმამა, ზოგმა ცოლ-შვილი და ღვიძლი ნათესავი. ყველაზედ ძლიერ, ბატონო, ბებერაი მიყვარდა, ღმერთმა აცხონოს, ღვთისნიერი დედა-კაცი იყო, იმისთანა ჭკვიანი სიტყვა-პასუხის ქალი სანჯაყში არ იშოებოდა. მერე რა გამრჯე იყო, ბატონო, მამაკაცზედ მეტს აკეთებდა. ეს ჩემი ბებერაი ქრისტიანის წესზედ დავმარხეთ, რჯული გამოცვლილი არა ჰქონდა. ახლა ამის საფლავს რო ვეთხოვებოდი, აქ ვეღარ დავიმაგრე თავი, ამომიჯდა გული, სირცხვილიც მწვამდა. ჩემი მოამაგდარე ბებერაის ტირილის ხმა მესმოდა: „რაჯაბ, რაჯაბ, ვის უტოვებ ჩემ ძვლებს სალანძღავადაო?“... ნაისა, ბატონო! ალბათ ბედმა გვიყო ყურში რაღაც შეითანი ჩაგვძახოდა: „წადით, წადითო“. გაუდექით გზას. ჯერ ახალციხეში შევგროვდით სხვა-და-სხვა სოფლებიდგან აყრილები და მერე ხაშურში ათმა-თორმეტმა სახლობამ მოვიყარეთ თავი. იმ ღამეს ბათუმში ჩავედით და აღარ დაგვიგვიანია, მეორე დღესვე ბრუსიას გემით ტრაპიზონისკენ გავსწიეთ. სულ 60 სული ვიქნებოდით.

— მერე, რაჯაბ, ზღვაში რომ მიდიოდით, არ გეშინოდათ?

— არა, ბატონო, ყაზა (უბედურება) არაფერი მომხდარა, ფურთვნა არ ყოფილა, ამინდი კარგი დაგვიდგა. ვინცალას გემს კი ამბობდნენ, იმ ხანებში დაიღუპაო. ტრაპიზონში საღამოთად მივედით. ძალიან კარგი ქალაქი ყოფილა. სოხახებზე (ქუჩები) ხეებია ჩამწკრივებული, ისეა დაბურული შტოებისაგან, გეგონება, კაცი ქოლგის ქვეშე დადისო. ქართველი ხალხიც ბევრია, მაგრამ ვერ იცნობ—თავზე ფესი ახურიათ*). ქაღალდის ფულები ტრაპიზონში დავახურდავეთ, ისიც, თუ არ ზარაფი, ზედ არავინ უყურამს. მანეთი თორმეტ ყურუშად (სამ აბაზად) გავიდა ოქროს ფულზე.

— სიტყვას-კი ნუ დაივიწყებ, რაჯაბ, და ტრაპიზონს რომ მიხვედით, თქვენი პატრონი ვინ იყო? გადასახლებულებს ვინა ჰყავთ ყურის მგდებელი?

— არავინ, შენი ჭირიმე. მივედით თუ არა, ყაი მაყამი (მაზრის უფროსი) ვნახეთ, ბაშპორტები ვაჩვენეთ და

*) ჩემს მობაასეს ბერძნები ქართველებად მიუღია.

ბით. იქვე სძევს მშვენიერ სურათებიანი ოქროს წიგნი, რომელშიაც ათასობით მოიპოება ზედ წარწერა.

**ბერლინი.** პროფესორი ჰელდმჰოლცი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** ამ ჟამად კორეში მდინარე იმჩინას ერთს ნაპირზედ სდგას იაპონელთა ჯარი და მეორე ნაპირას ჩინელებისა. ვერც ერთი ჯარი ჯერ ჯერობით ვერ გადასულა მდინარეს, რადგანაც იგი მეტად არის ადიდებული,

29 აგვისტო

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წარედგინა საერო განათლების მინისტრის მოხსენება შესახებ სახელოსნო დაბალ სკოლების შტატისა და უმთავრეს წესებისა.

## ახალი ამბავი

⁂ ბორჯომი. 30 აგვისტოს პარაკლისის შემდეგ, მიხეილის სადგურზედ, პირველად გაიარა კავკასიის რკინის გზის მატარებელმა ბორჯომის შტოზედ. მატარებელში ისხდნენ რკინის გზის უფროსი მოხელენი და სხვანი მოწვეულნი სტუმარნი. პარაკლისი გარდახდილ იქმნა აგრეთვე სუმბათოვისა და ბორჯომის სადგურზედ, რის შემდეგაც სადღესასწაულო სადილი იყო გამართული.

⁂ 29 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანაშემწე, მისი უდიდებულესობის სასახლის კამერგერი დ. ს. ს. დ. ფ. ერმოლოვი.

⁂ სექტემბერში მოელიან ქალაში სამიჯნო უწყებათა მმართველს ი. ლ. გორემიკინს, რომელიც ადგილობრივად გაიცნობს თუ რა მდგმარეობაშია გამიჯვნის საქმე საქართველოში ამ ჟამად.

⁂ 30 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა 39 ქვეითა ჯარის დევიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ამირეჯიბი.

⁂ ტფილისისავე სამკურნალოში თემირ-ხანშურის ოლქის უფროსმა გამოგზავნა 6 წლის ყმაწვილი იზუდბილ აბდულ-ვახამ-ოღლი, რომელიც ამ ერთის თვის წინად ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა დაღისტნის ოლქის სოფ. კარაბუდაკენტში.

⁂ ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ჩამოიყვანეს 4 წლის ბავშვი, შვილი ისიდორე ფხაკაძისა პროკოფი, რომელიც ქუთაისის მაზრის სოფ. ფარცხა-ნაყანევში 16 აგვისტოს ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა ლოყასა და მაჯაზედ. გარდა ამისა იმავე ძაღლმა დაჰკბინა იმავე სოფელში კიდევ 8 სული. ესენი მცირედ არიან დაკბენილნი და ამიტომ ყველას სოფელში სწამლობენ.

⁂ ხანგრძლივ სიცოცხლის მაგალითები იშვიათი არ არის ჩვენს ქალაქში: ამ დღეებში გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქის მეუღლე ბარბარე ენაკოლოფოვისა, რომელიც ასის წლისა იყო. განსვენებულს უკანასკნელ წუთამდე გონება არ დაჰკარგვია და შვილის შვილის შვილებს მოესწრო.

⁂ ს. ბალთა (თერგის ოლქი). როგორც მოგეხსენებათ, აქაურები ხვნა-თესვას არ მისდევენ. მხოლოდ თივის მოსავლით სცხოვრობენ და თავს ირჩენენ. წრეულს თუმცა გვარიანი მოსავალი იყო, მაგრამ თივის ფასმა ძალიან დაიწია, ფუთში 7-8 კაპ. მეტს არ იძლევიან ვიგინდარა ჩარჩები, რომელიც ათასობით ჰყიდულობენ ხოლმე გაჭირვებულ გლეხებისაგან და თითონ კი მამასისხლად ჰყიდიან. რა უნდა ჰქნას ასეთ გარემოებაში ჩავარდნილმა გლეხმა?!..

⁂ ორშაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ, მუშტაიდის მახლობლად „სტრელნა“-ს ბაღში. შემდეგი ამბავი მოხდა: ამ ბაღში ყოველთვის გურულების ხორო უკრავს ხოლმე მუზიკას; იმ ღამეს ორს ამათგანს მოუვიდათ ლაპარაკი: ქიშვარდი გიგიძემ ამოიძრო ხანჯალი თავში დაჰკრა კვაჯანტირაძეს და ძალიან დასჭრა; უკანასკნელი იქვე დაეცა სისხლში მოსვრილი და დამნაშავე-კი ხანჯლით ხელში გაიქცა მიხეილის ქუჩისკენ, მაგრამ შეიპყრეს და პოლიციაში წაიყვანეს. დაჭრილი საშინათვე ეტლით მიხეილის საავადმყოფოში გაისტუმრეს. დამნაშავე მე-3 განყოფილების სასამართლოს გამომძიებლის განკარგულებით მეტეხშია დაპატიმრებული.

⁂ ამ თვის 27 ორთაჭალაში დუქნის პატრონმა იოსებ კობერიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ დუქნიდგან 50 მ. ღირებული სამი ჩერქესკა და წყვილი ფეხსაცმელი მომპარესო. ამ საქმეში დამნაშავე სოფ. კუმისის მცხოვრებელი დარჩო არტაშევი შეიპყრეს.

⁂ 28 ამ თვისას მარტყოფის ქუჩაზედ სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს პანასევიჩის ქუჩაზედ მცხოვრებელმა სოფიო ბულატნიკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სადგურიდგან 40 მან. ღირებული ხალიჩა მომპარესო.

⁂ 28 ამ თვისას მკურნალმა ხუდადოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ნიკოლოზის ქუჩაზედ ჩემის სადგურიდგან 90 მან ღირებული ორი ხალიჩა მომპარესო. ხალიჩები მეზობლის ეზოში იპოვნეს ღობის უკან შეკრული.

⁂ ამავე დღეს კახეთის ქუჩაზედ დავით სულხანიშვილის დუქანი გატეხეს და დახლიდგან 15 მან. მოჰპარეს.

## დამაკვირდი

ზოგიერთს შემთხვევაში კეთილ-გონიერება სულ-მოკლეობაა.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

**

ცოლ-ქმრობა ნავთ-სადგური არის ფრთოსნის დროს, მაგრამ არა იშვიათად ფრთოსნაც არის თვით ნავთ-სადგურში.

**

მოგებული ის არის, ვინც ამაო იმედი დაჰკარგა.

იტალ. ანდაზა

### ჩემი მოგზაურობა

ტფილისიდგან კოჯორს და კოჯორიდგან ტფილისს.

ნაწილი მეორე *)

დამეძინაო!

რა ეშმაკი და ქაჯი დამაძინებდა.

მე ის ოთახი ცარიელი მეგონა, მაგრამ თურმე მცხოვრებლებით სავსე ყოფილიყო. ჩემმა შესვლამ იქ მთელი ალიაქოთი ასტეხა თურმე. წამთვლემავდა თუ არა, ცულიანი და უცულო ზედ მომესეოდა ხოლმე და მაკოძიძებდნენ, შამფურსავით მატრიალებდნენ. მეტადრე ის ცხოველი იყო ბევრი, რომელიც არც უბრალო კაცს გაურბის და არც მეფეს უფრთხის, რომელიც „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, ყველას ერთგვარ ათამაშებს ქ მანჩა და სტვირივითა“. ბევრი ვიქნიე დაჩეჩქვილი ხელ-ფეხი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალა აღმართსა ჰხნავს და სიმრავლე ყოველთვის დასძლევს სიმცირეს.

ამ ჩემს შფოთვა-ბორგვაში საშინლად დამცხა; ოთახში ისეთი ბული იდგა, ასე გეგონებოდათ აბანოაო; ხვირთქლი მდიოდა. ეს-კი ველარ ავიტანე და თავ-მოგლეჯილი გამოვარდი გარედ. კოჯრის ზემო უბანში ავსულიყავ, რომ მაშინ ვიგრძენ ჩემი თავ-მოგლეჯილობა, რადგან მწვავე და მხურვალე მზის სხივმა სულერთიანად გამიხურა კეფა. თურმე კოჯორშიაც ისევ ის მზე ათბობდა ქვეყანას, რომელიც ტფილისს დაჰნათის, და იქაც ისეთივე სიმხურვალე ჰქონოდა, როგორც ჩვენში.

კარგა დაბინდდა, რომ მაშინ ძლივს მოვაღწიე ჩემს ოთახამდის, სადაც ჩემი ნაცნობი ქალი მართლაც რომ საუცხოოდ გამიმასპინძლდა. ერთი უცნაური რამ შევნიშნე კოჯრის ვაჭრობას: იქაურს დუქნებში ღვინო იმ ფასადვე ისყიდება, როგორც ტფილისშია, საზამთროს-კი, ყმაწვილის თავის ოდენასაც კი, ორ აბაზად და ათ შაურად აფასებენ მედუქნეები. რადაო, ნეტა?

დაბინდება და კოჯრის ნიავის ამოსისინება ერთი იყო. ამოჰქრა, გაისისინა, გაიშრიალა მართლაც-და ისეთმა უცხო, დასიცხულ შუბლის განმაგრილებელმა ნიავმა, რომ სწორედ ადამიანის ძვალმაცა და რბილმაც სიამოვნება იგრძნო. თურმე კოჯორშიაც, როგორც ტფილისშია, ზაფხულობით ღამე სცხოვრობს იქ მყოფი, დღისით-კი ყველა კარ-ჩაკეტილშია, ნიავსაც-კი ეშინიან თავი გამოჰყოს გარედ და სადღაც არის მიმალული.

დაბინდდა და მთელი კოჯორი გაიშალა, გაცოცხლდა, ამოძრავდა, ქალნი, ფერადად დართულნი და ფერუმარილით მოლამაზებულნი, გამოეფინნენ; აბრეშუმის იუბკები აშრიალდა მტვრიანს ქუჩებზედ; ერთმანეთს აუთვალიერ-ჩაუთვალიერეს ტანთ-საცმელი, ერთმანეთის აუგად და ძრახვად ააცმაცურეს თვისნი ტურფა ბაგენი. აქეთ-იქიდგან თავი გამოჰყვეს საავარაკო კავიან გრძელ ჯოხებზედ დაბჯენილმა მოაგარაკე კოჯრის ხმოსნებმაც, რომელთაც იმდენივე საქმე აქვთ სახმოსნო, რამდენიც ჟორჟ დეპარის, რომელიც კოჯორშიაც ჩვეულებრივ თავ-მომწონედ დადის ცილინდრით, ბრაზილიაში საპოლიტიკო.

გაისმა სამხედრო მუსიკის ხმა და დიდი და პატარა როტონდისაკენ გაეშურა. ავყევ ხალხის ფეხის ხმას და მეც იქით გავწიე. შევედი თუ არა, ვიღაცა უცნობმა გამაჩერა, ფულიო.

— რისა-მეთქი?

— აქ შემოსვლისა. ექვსი შაური უნდა გადაიხადო, ხოლო თუ ქალი ბრძანდებით — ერთი აბაზიო.

მაშინვე ჯიბეში ვიტაცე ხელი და გადავსწყვიტე, ექვს შაურს გადავიხდი, თორემ ეს უცნაური ვაჟბატონი წვერ-ულვაშიანად დედათა სქესში ჩამრიცხავს-მეთქი. ის იყო ფული უნდა გარდამეხადნა, რომ საიდგანღაც გამოჩნდა ადგილობრივი ბოქაული, რომელმაც ჩასჩურჩულა:

— კალმოსანია! გაზეთში ჩაგაგდებთო!

ამ სიტყვების თქმა იყო და როტონდის ხელის უფალმა მდაბლად დამიკრა თავი, — უკაცრავად, ვერ გიცანით, კეთილი იყოს თქვენი მობძანება; თქვენ ფულს ვერ გადაგახდევინებთო. მეოცა, უცნაური წესი ყოფილა: ჯერ ეს ბატონი ქალადაც მიპირებდა აღნიშვნას და ეხლა ქალებშიაც გამომაკლო და კაცებშიაც და რაღაცა მესამე — კალმოსანთა სქესში მომაქცია-მეთქი...

რა არის როტონდა?.. პაწია დარბაზი, ფარდული ფიცრისა, სადაც მოაგარაკენი თავს იყრიან და კაცები ბანქოს უმუდმებენ, ქალები — ჰკორს. ეს არც ისე სამწუხაროა, რადგან ეს ბატონ-ქალბატონები იმთავითვე ასე არიან მიჩვეულები და,

---

*) იხ. „ივერია“, მე-174 №-რი. ბოლოში დაგვიანებისათვის. მიზეზი ის არის, რომ სიცხემ ახლა სხვა მხრისაკენ გამიტაცა, რომლის ამბავსაც შემდეგ ვაუწყებ ჩემს მომთმინო მკითხველებს

ავტ.

---

ათი დღე დაგვანარჩუნეს ტრაპიზონჩიდ. მერე ტრაპიზონის ფაშაც ვნახეთ, ღმერთმა უშველოს, ტკბილად მოგვექცა. ისიც-კი გვითხრა ღვთის წინაშე: „ტყუილად გარჯილხართო, ჩვენს სულთანს ის ურჩევნია, რომ გურჯისტანში იცხოვროთო. იაფობა ძალიან არი: ბათმანი (ოცი გირვანქა) ყავა ერთი თეთრი მეჯიდაა (1 მ. 40 კაპ.), შაქარი ოყა სამი ყურუშია (25 კაპ.), ერბო მაისში ოყა ექვსი ყურუშია, პური ბათმანი სამი ყურუშია, მაგრამ რას იზამ, ბატონო, რომ ფულის შოვნა ჩათინია. ირღადიც (მუშა) საქმეს ვერ შოულობს, ფუხარა (საწყალი) კაცი ძალიან ბევრია და თუნდაც სამუშაო იპოვნოს, მაინც დღეში ორ ყურუშზედ (16 კ.) მეტს ვერ აიღებს. ჩვენმა ბიჭებმა ძლივს ორიოდე დღე იმუშავეს ტრაპიზონის ისკალაში (ნავთ-სადგური), იქ-კი მუშა დღეში ხუთ ყურუშათაა (40 კაპ.)

ტრაპიზონიდგან ჰასან-ფაშის გემით სამსონს მივედით, სამსონიც კაი ქალაქია. ყველანი გურჯებს გვეძახოდნენ და გურჯისტანის ამბებს გვეკითხებოდნენ. აქაც ათი დღე დავრჩით. ე და ბატონო, სამსონიდგან არაბით (ურმით) წავედით ჩორუმში. ხუთი დღე ვიარეთ და კომლზე ერთი თუმანი დაგვიჯდა ურმის ქირა. ძლიერ ცხელი ადგილებია. ჩორუმიც, არა უჭირს-რა, კარგი ქალაქია.

— მოიცა, რაჯაბ, ახალციხის გარდა, ჩვენი ქალაქები გინახავს? მაგალითად, თბილი ქალაქი, ქუთაისი...

— ტყუილი სირცხვილია, ბატონო, ნახვით არ მინახავს და გაგებით კი გამიგია, ჰაი, ჰაი, რო ძლიერ კაი ქალაქებს აქებენ. ე და ბატონო, ჩორუმში ოთხ თვემდე დავრჩით. ჯალაბი ქალაქში იდგა და ჩვენ კიდევ მთელ ჩორუმის სანჯახში (მაზრა) მიწას დავეძებდით, მაგრამ რა, ადგილები სულ მთლად დაჭერილია, უფრო ურუმელ (ბერძენი) ხალხს დაუჭერია. არსად მიწის შოვნა არ არი. ყაი მაყამს ვთხოვეთ რამდენჯერმე, მაგრამ იმან ასე გვითხრა: იპოვეთ მამული და ჩვენც მოგცემთო. ასე, ბატონო, შენ გეყურბანე. ბევრი ვეძებეთ, ვერსად ვერ ვიშოვეთ, ყველგან მომწვარი ხმელი მიწაა, ალაგიც ძლიერ ცხელია, ყურძენი და სხვა ყველა ხილიც იცის, მაისში პური ითიბება, ჰაერიც ცუდია, წყალი ხო ისეთი დამპალია, ახალციხის წყალი რო იქ იყოს, ფარით გაიყიდება, მამულიც თუ არი, ისიც ძრიელ ძვირია რასაც ათ თუმნად აქ ვიყიდით, იქ ოცი თუმანი უნდა. ბურსაში ტყეებს აძლევენ გასაჩეხად და ადგილი უფრო ძვირია.

— აკი ამბობდნენ, რომ ოსმალოს მთავრობა დიდს შემწეობას აძლევს, ვინც-კი აქედგან გადასახლდებაო. მაშ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა?

— აჰა ეგე ბრძანე, ბატონო! ჩვენც მაგრე გვითხრეს, ვითამ და თათარი მიწას აძლევს ჩორუმის, აინაგიოლის და ბურსის სანჯახებშიო, თანაც სახლ-კარს და ერთ წყვილ ხარის ფარას აძლევსო. ამის გარდა შვიდ წელს აზატი ხარო, შენს კარს, მზისა და მთვარის მეტი, არავინ მოადგებაო, მაგრამ ეგ ყველა დუდუგი (სიცრუე) გამოდგა — არც არავის მამულს აძლევენ და ხონთქარის ხარჯიდგანაც აზატი (თავისუფალი) არავინ არი.

ბატონო და, ბოლოს რო გაგვიჭირდა, იქაური ფაშაც ვნახეთ. შევჩივლეთ: საიდგან სად მოვსულვართ, ასე დაღონებული დავრჩით, გვიშველეთ, ალლახის გულისათვისა. რამე მიწა მოგვეცით თქო. ფაშამ გვიბძანა აქ არ არი მიწა, რომ ბედიავად (მუქთად) დაგირიგდეთო, თუ გინდათ ყარაისარში წადით და იქ მუქთად მოგეცემათო. ჩვენც ვიკითხეთ და ძრიელ შორს ყოფილა, ჩორუმის იქით კიდევ ხუთმეტი დღე უნდა იაროთო. თანაც ძალიან ცხელი ადგილი, მომწვარი, უწყლო ქვეყანა არის და ჰაერიც დამპალი აქვსო. შენი მტერი დაღონდეს, ბატონო, რო ჩვენ დავღონდით, კაცები ძალი ძალად გულს ვიმაგრებდით, მარა ცოლ-შვილი-კი ძრიელ აგვიტირდა.

— მაშ რაღათ იწერებიან ხოლმე თქვენები: მოდით, აქ კარგიაო?

— მოგეხსენება, ბატონო, კაცი რო წყალში ირჩობა, ცდილობს სხვაც თან ჩაიტანოს. ახლა, ეგენიც ერთხელვე ჩაცვივნულან უბედურებაში და სხვასაც თავისკენ ეწევიან საიმედოდ, რა არი გაჭირვებაში მეზობელი გამოიყენონ, მითომ „ძმა ძმისთვინა ამ დღისთვინაო“. ჩვენც ცოტას გაწყდა ისე ჩავარდით ორმოში, როგორც ჩავარდნილან ჩვენზედ წინეთ გადასახლებულები. მაგრამ ღმერთი კიდევ ჩვენსკენ არი, იმდენი მოგვაფიქრებინა, რომ სანამ ცოტა ფარა კიდევ გვეშოებოდა, ვთქვით: იალა! იალა! არიქა ყარდაშ „ყ ჩმალდა ბირ იგიდლუღდურ“ (გაქცევაც ერთი ვაჟკაცობაო). სანამ გზის ფული ჯერ კიდევ გვაქვს, ვუშველოთ თავს, ისევ ახალციხეში, ჩვენ მიწა-წყალში, სიკვდილი გვირჩევნია, აქ სიცოცხლეს. ავდექით, ვახსენეთ ღმერთი, გამოვწიეთ, პირი

ხომ მოგეხსენებათ, „მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ დაუშლიო“. ამიტომ „მიუჩვეველთა“ შესახებ უნდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა. ეს „მიუჩვეველები“ მოზარდი, მოსწავლე ახალგაზდობაა, რომელთაც ჯერ პირზედ დედის რძე არ შეშრობიათ და სტლინკავენ, ქ ლებს თავს ევლებიან, არშიყობის გაკვეთილებს იზეპირებენ. აგერ პაწია, თორმეტ ცამეტის წლის გიმნაზიელი და მისი მომდევნო მოსწავლე-ქალი ხელი-ხელს გაყრილნი დასეირნობენ:

— შენ მე მიღალატეო, ეუბნება ქალი: კატოს რად „ეტანციე“, აკი სთქვი, რომ გული ავიყარე იმაზედაო.

— შენ რაღად „ეტანციე“ კოლიას, ხომ იცი, რომ შენი მკელი არშიყები ჭირივითა მძულს. თუ ჩემი ხარ, ჩემი უნდა იყო... და სხ. და სხ.

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს. მშობლები-კი სდგანან, ბანქოობენ, ჭორიკანაობენ და თან სტკბებიან ბავშვების ტიკტიკითა და ტიტინით (?!).

შუაღამე იყო, რომ ისევე გაისმოდა ბავშვების არშიყობა, დედების ჭორიკანაობა და მამების „ტუზ ჩერვეი“-ს ძახილი. გაშმაგებულ-გაბოროტებული გამოვარდი და მივაშურე ჩემს სენაკს. ნუგეშად ის-ღა დამრჩა, რომ ქართველი სულ არსადა სჩანდა ამ საზოგადოების რჩეულ კრებულში. იქ მყოფნი რუსულ-სომხურს ისე ურევდნენ ერთმანეთში, რომ ძნელად გაარჩევდით, რუსული სად იწყებოდა და სომხური სადა. საზოგადოდ, კოჯორში მემამულენი და მკვიდრნი უმეტესად სომხობაა, უმცირესად—რუსობა, ქართველი ჭაჭანებითაც არა სჩანს.

იმ ღამეს სიზმრად ვნახე, ვითომ ქართველთა ჯარი ქულაჯებით და აბჯარ-ჩაჩქნით გადმომდგარიყო კოჯრის სერზედ და უძოს ხეობაში ჯარის უფროსებს მოხუცი ხევის-თავი ამწყალობებდა. მაგრამ ვაგლახ, სიზმარი იყო და სიზმარსავითვე განქრა კიდეც იგი: გამომეღვიძა ალიონზედ და ისევ შერეული რუსულ-სომხური ლაპარაკი მომესმა სასტუმროს მდგმურებისა.

ორ-ანი

## კორესპონდენცია

—

**ზემო იმერეთი**, 16 აგვისტო. თითქმის თვე ნახევარი გადიოდა, ყოველ დღე გულის ძგერით შევჩერებოდით ცას, მაგრამ არ გვაღირსა და არა დალოცვილმა ღმერთმა ერთი მადლიანი წვიმა. გაჩნდებოდა თუ არა ცაზედ ღრუბელი და მოგვესმებოდა საითგანმე ქუხილი, გული სიხარულით აღევსებოდა ხოლმე, მაგრამ გაივლიდა მცირეოდენი ხანი და იმედი გვიქარწყლდებოდა, გული ისევ ბოღმით გვევსებოდა: იქნება გადმოვარდნილიყო ორიოდე ნამი, მაგრამ შემდეგ ცა ისევ გამოიკაშკაშებდა, მზე თავისებურად ცხელს სხივებს ისვრიდა და სდგებოდა აუტანელი სიცხე-პაპანაქება, რომელსაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე აღმოსავლეთის სასტიკი და ცხელი ქარი და რომელიც ხალხს სულსა და გულს უწუხებდა. ამ ნაირმა ქარ-სიცხემ ალაგ-ალაგ, სადაც მწირი ნიადაგი იყო, სულ მთლად გაახმო და დაუჭკნო მარცვალ დაუსრულებელი ტარო. არც ვენახებს დაჰყრია ხეირი სიცხით დამწვარ მტევნების მარცვლებს ზრდა შეუჩერდა და კრიკინის მარცვლებს დაემზგავსა; წელს ყურძენს დამწიფებაც დაუგვიანდა და ჯერ სრულად დამწიფებულს მტევანს იშვიათად ჰნახავთ აქაურს ვენახებში.

ხალხი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როცა ჰხედავდა, რომ თავისი ნაწვავ-ნადაგი ჭირნახული ასე უმოწყალოდ ეცლებოდა ხელიდგან გვალვისაგან და რომ ხელმეორედ და ზედ მობმით მოელოდა სასტიკი შიმშილი. წელსაც რომ არ მოვიდეს ზემო იმერეთში ხეირიანი მოსავალი ან ხელმწიფეს რით-ღა უნდა გასცე მაშინ პასუხი ყოვლად გაღატაკებულმა გლეხმა, ან ოჯახს, ან მღვდელს ან მწერალს და ან რით-ღა უნდა გაისტუმროს ის ვალი და ვახში, რომელიც აიღო წელს აქაურის ხალხის ღატაკმა უმეტესობამ ფულის მეპატრონე უმცირესობისაგან კარგა მოზრდილის სარგებლითა?! ამის გამო აქაურმა გლეხმა, დაჩვეულმა შავის ქვის ზიდვით ფულის შოვნას, ისევ ჭიათურისაკენ დაიჭირა თვალი და თითქმის ყოველ მხრივ დასძრეს და წაირეკეს ხარ-ურემი შავის ქვისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად ორთქლ მავალი ასიათას ფუთობით ეზიდება ჭიათურიდგან შავს ქვას და ნაკლებ საჭიროდ ჰხდის ხარ-ურმის მუშაობას შავს ქვაში.

საწყალი გლეხი იძულებული ჰხდება ფუთი ქვა 50-ოდე ვერსზედ 8 კაპიკად ჰზიდოს (ვაგონებით ფუთს 10 კაპ. ზიდავენ) და აბა რა შესამჩნევი ხეირი უნდა ნახოს მეურმემ ამ ნაირის მუქთა მუშაობისაგან? სად-ღა არის იმერელთათვის ის სანეტარო დრო, როცა ჭიათურიდგან ზესტაფონში ერთი ფუთის ქვის გადატანა 20—30 კაპ. ჰღირდა და როცა თითო გზობაზედ ერთი გლეხი ოთხიოდე დღის შემდეგ ხშირად 8 მან. ჩამოუტანდა ხოლმე თავისს ოჯახს? ის დრო განქრა და ეხლა 3—4 მანეთს ძლივს შოულობს გლეხი შავს ქვაში ერთს გზობაზედ.

11 აგვისტო ბედნიერად დაღამდა ზემო-იმერელთათვის. ცა სქელმა ღრუბელმა მოიცვა და გაისმა ქუხილი; ამ გზობას აღარ გაგვქარწყლებია იმედი და ჩამოეშვა ციდგან სანატრელი და გულ-გასახარი მსხვილი, ჟუჟუნა წვიმა, რომელმაც მთელს ღამეს გასტანა და შემდეგაც ორს დღეს იწვიმა ხან გამოშვებით. ბუნება გახალისდა. გვალვისაგან მოკრუნჩხულს და მიმკვდარებულს სიმინდს თავი მაღლა აეხარა და სიცოცხლე დაუბრუნდა. ეჭვი არ არის, ვენახებიც მოცოცხლდება და მარცვლებს გაიზრდის. ხალხმა ძლივს სიამით ამოისუნთქა.

მართალია, პურს ჩვენში კარგი გამოსავალი ჰქონდა, მაგრამ, ნუ თუ პურის, თუნდ ჩინებული, მოსავალი აცხოვრებს იმერელს, რომლის უმთავრესს სარჩოს სიმინდი შეადგენს. მაგრამ წარმოიდგინეთ, ეხლა აქ პურიც ჩალის ფასად ჰღირს: ბათმანს პურს 40 კაპ. ვერ ვყიდით, მაშინ როდესაც ბათმანს სიმინდს 50 კაპ. ვყიდულობთ. ეს კიდევ თუნდ არაფერი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ვიშოვეთ თუ არა პურის გასყიდვით ორიოდე მანათი, დაგვეცა თავს მამასახლისი და, ბრძანებისამებრ მთავრობისა, ეს ფულიც, რომლითაც ვაპირებდით, ოდნავ მაინც, სულის მობრუნებას, სახელმწიფო ბეგარად გამოგვართვა. მთავრობის ბრძანებამ უფრო შეგვაწუხა ისინი, რომელთაც წელს პური სრულიად არა გვქონია დათესილი და რომლებმაც ათასის ვაი-ვაგლახით ვიშოვეთ სასესხებელი ფული. ეს ის ბეგარა გადაგვახდევინა მთავრობამ, რომელიც ზამთარში უნდა გაგვესტუმრებინა, მაგრამ მაშინ, მაშინდელის ჩვენის უკიდურეს ხელ-მოკლეობის გამო, ვერ შევიძელით გარდახდა ამ ბეგარისა და ვსთხოვეთ მთავრობას ედროვებინა ეს გადასახადი შემოდგომამდე, როცა ვკისრულობდით გადახდას ნადროების ბეგრისას შემოდგომის ბეგარასთან ერთად; მაგრამ ალბად მთავრობას გონიერად მოუსაზრავს, რომ ბეგარის ორისავე ნახევრის ერთბაშად გადახდას ვერ შევიძლებდით და, ვერ შევიძლებდით მით უმეტეს, თუ წელს ცუდი მოსავალი გვექმნებოდა სიმინდისა და ამიტომ პურის შემოსვლისათანავე მოგვთხოვა ნადროები სახელმწიფო გადასახადი. აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ, ჩვენის ფიქრით, ზემო-იმერეთის ყველა სამამასახლისო საზოგადოებათ არა ჰქონია ნადროები ზამთრის სახელმწიფო ბეგარა.

ჩვენში კაცის-კვლა გახშირდა. ამას წინად აქ სულ ერთს კვირაში 6 კაცი იქმნა მოკლული: 3 კაცი—ზესტაფონში და 3-ც ხრეითში, სადაც ერთს აბაშიძეს დასხმოდნენ თურმე თავს გლეხები, რომელთაც რაღაც დავა ჰქონოდათ ამ აბაშიძესთან ერთის ტყის შესახებ. გლეხებმა თურმე მოურავი მოუკლეს ჩხუბის დროს აბაშიძეს და ამ უკანასკნელსაც, როდესაც ეს მკვლელთაგან თავს იცავდა ორი გლეხი შემოაკვდა რევოლვერით. საზოგადოდ ზემო-იმერეთში, თითქმის მეტად გავრცელებულია ადგილ-მამულებზედ დავა და სისხლის ღვრა, ასე რომ ძმა-ძმას აღარ ჰზოგავს, მამა-შვილს, შვილი მამას, ჰჩეხენ და ხოცვენ ერთმანეთს; სჩანს ზემო-იმერლები ველარ ვთავსდებით ჩვენს ადგილ-მამულში და აღარა გვყოფნის იგი!..

ჩვენში ავადმყოფობა ამ ჟამად საზოგადოდ ძალიან იშვიათია, მხოლოდ ზოგიერთს სოფლებში, მაგალითად სვირში, საქონლის ჭირი გაჩნდა.

სევ-ჯუღელი

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მამა-დავითის სამრევლო საეკლესიო დედათა სასწავლებელში გაკვეთილები დაიწყება პირველს სექტემბერს. ამავე სასწავლებელში არსდება განსაკუთრებული განყოფილება ჭრა-კერვისა, სადაც ასწავლიან როგორც ჭრა კერვას, ისე სხვა და სხვა მკედლებურ ხელსაქმეს, მაგალითად, ოქრო-მკედით კერვა და სხ. ამ განყოფილებაში, მოსწავლე ქალთა გარდა გარეშეთაც შეუძლიანთ სწავლა. ფასისა და პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება იმავე სკოლის მასწავლებლებთან ავრაამის ქუჩაზედ, მთაწმინდაში, დავიდოვის სახლში, № 15 დილის ათ საათიდგან თორმეტ საათამდის,

მამა-დავითის სამრევლო ქალთა სკოლის ხელსაქმის განყოფილების გამგე კნიაჟნა ნინო თარხნიშვილის ასული.

## დეპეშა

30 აგვისტო

**პეტერბურგი.** სხვათა შორის დღეს გამოცხადებულ ჯილდოთა ნუსხით ნაბოძები აქვთ: ერევნის გუბერნატორს ფრეზეს—გენერალ-ლეიტენანტობა, კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსს ტუტოლმინს და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან გამწესებულს ზელიონის — ორდენი თეთრის არწივისა; დაღესტანის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს ტიხონოვს—წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისაგან დეპეშა მოვიდა, რომ განგაში საძირკველი ჩაჰყარეს ტაძრისა, რომელიც აგებულ იქმნება უავგუსტოესის სახლობის 1888 წლის 17 ოქტომბერს განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრადაო. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ბელოვეჟიდგან კეთილ ინება და უპასუხა: „გთხოვთ გადასცეთ ყველას დედოფლისა და ჩემი გულითადი მადლობა და სიხარული განგში მართლმადიდებელ ტაძრის საძირკვლის ჩაყრისა გამო“.

**ლონდონი.** ჩინეთის ჯარს ჩრდილოეთ კორეში გარს არტყიან იაპონელები; ჩინელებს სურსათი აკლიათ

ისევ ჩვენი მამულისკენ ვიბრუნეთ.

— უწინდელი გადასახლებულები რაღას ამბობენ, როგორ სცხოვრობენ?

— ისე თქვენი მტერი, ბატონო! ეხლა იმათ ცოტა რამ შეძლება რო ჰქონდეთ, ერთიც არავინ დარჩებოდა, ყველანი დაბრუნდებოდნენ საქართველოში, მაგრამ აქაც იმედი აღარა აქვთ თავის მამა-პაპეული გაყიდული მამულ-დედული და მულქი უკანვე შეისყიდონ ნაისა! ასე ორ წყალ-შუა დარჩომილან. ე, რაღა თავი შეგაწყინო, ბატონო, ვისაც საგზაო ფული შეგვრჩა და იმედიც გვქონდა, რომ მამულს ისევე დავიბრუნებდით, ყველანი წამოვედით. გამოვიარეთ ისევ სამსონი, ტრაპიზონი, ბათუმი და ბათუმიდგან აჭარას ავედით. აჭარა, ბატონო, ძრიელ მოგვეწონა, ღვთისგან ნაკურთხი ალაგი აბა აი ეგა ყოფილა— თუმცა ყანა ცოტა აქვთ, მაგრამ ძრიელ ნოყიერი ადგილია, ყველაფრით შამკობილი. აჭარის მთებიდგან მესხეთის არე-მარეს რო გადმოვხედეთ, სწორედ რო სამოთხედ გვეჩვენა. მაინც, ბატონო, ამ ჩვენი საქართველოსთანა მშვენიერი ქვეყანა დუნიაზე ჰეჩ არ არი!

— მერე, აჯაბ, აჭარელ ქართველებმა რაღა გითხრეს?

— რას გვეტყოდნენ, ბატონო, დაგვცინეს: ჰო ჩვენ ეგეო ადრევე ვიცითო. თანაც დაუმატეს: „ტაშ იერნდა ალრდურ“ (ქვა თავის ალაგასაა მძიმეო), ამიტომაც ჩვენ მძიმეთა ვართო. ისიც-კი უნდა ვთქვათ, ბატონო, რომელი თავზე ხელ-აღებული გასცვლის სამოთხეს ჯოჯოხეთზე? აბა აჭარას ჩორუმზე ან რაღაცა ყარაისარზე ვინ გასცვლის!

ეჰ! ნაისა, ჩვენც ეხლა ჰკვას ჩავარდით, ბატონო, გავიგეთ, რომ «ყურბათლუღ ჯანნათ ოლსა, გენა ვათან იახშიდურ» (ყარიბობას, თუნდ სასუფეველიც იყოს, სამშობლო მაინც სჯობია). შინ მოვედით თუ არა, სიხარულით ყველანი ბავშვებივით ვსტიროდით. ბატონო, «იაზი ბოზულმაზ»..

ამ ანდაზით დაამთავრა რაჯაბამ ბაასი თავიანთ თავ-გადასავალის შესახებ. ახლა რაჯაბას სატირლად ის გახდომია, რომ ძმა მამულს აღარ უბრუნებს. ძმას კიდევ, როგორც არის, გული შესტკივნია, მარა ძმისცოლა, რძალი თურმე დიდს უარზედა სდგას და ხომ მოგეხსენებათ: «ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ველარ დაიმაგრებსო».

ილია ალხაზიშვილი

P. S. ეს რამდენიმე წელიწადია რაც თითო ოროლა კომლი ქართველი-მაჰმადიანი მესხები მიდიოდენ ხოლმე ოსმალეთში დასასახლებლად, მაგრამ მეორე წელიწადია, რაც ახალციხის მაზრის ქართველ-მაჰმადიანებს რაღაც მოეჩვენათ და გადასახლების სურვილი მეტად გაუძლიერდათ. აგერ თითქმის ორას კომლამდე კიდეც გადავიდენ ოსმალეთში.

ძალიან გვიკვირს, რომ ჩვენი ქართველი გლეხობა, ქართლისა და იმერეთისა, მაგრე რიგად არ ეტანება აქეთა მხრის მამულებს. აქაურობა ჯერ ისევ სათათრეთი ჰგონიათ და გადმოკარგული ქვეყანა. ისევ ბორჯომის ხეობის ქართველობამ გაჰბედა აქეთ ამოსვლა. აქმდე მხოლოდ 48 კომლმა ქართველმა შეისყიდა გადასახლებულების მამული:— სოფ. წნისში დასახლდა 16 კომლი, აწყურში 13, ტყემლიანში 15 და მუგარეთში 4 კომლი.

ღმერთმა ჰბრძანოს, რომ ჩვენმა მოძმე ქართველ-მაჰმადიანებმა თავი დაანებონ ათასნაირ ჭორების აყოლას და თავის მამა პაპეულს ადგილზედ გული დაამყარონ და აღარ მოშორდნენ, მაგრამ თუ იმათს აცრუებულს გულს ველარა დაამშვიდებს-რა, მაშინ სამართალიც-კი იმას მოითხოვს, რომ ამ ზემო ქართლში, სადაც ორასიოდე წლის წინედ ქართველის სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, ჩვენის წინაპრების სისხლით მორწყული მამულები, ქართველებსვე ერგოთ.

მაშ ვინ უნდა უპატრონოს კუმურდოს, ვარძიის, საფარის და ზარზმის მონასტრებს, სადაც ოდესმე ჩვენთა ეპისკოპოსთა და მღვდელ-მონაზონთა ლოცვა-კურთხევა გუგუნებდა და მათი სწავლა-განათლება იფინებოდა მთელს ამ არე-მარეში! მაშ ვინ უდა დაიცვას აქ გაფანტული ძვირფასი სასაფლაო ნაშთები იმ ჩვენ მთავართა და დიდებულთა, რომელნიც სამშობლოს და ქრისტიანობის დაცვისათვის ტანჯულან და წამებულან? მაშ ვისი მოვალეობაა ღირსეულად დაჰკრძალოს ის წმიდა ადგილი და ნასახლარი, სადაც ჩვენი სასიქადულო, დიდებული პოეტი შოთა დაიბადა და სადაც თავისი უკვდავი პოემა სწერა!

მაგრამ ვინღაა, სადღაა? დღეს შოთას სოფელს რუსთავში სამი კომლი ქურთი სცხოვრობს იმის მოწმად, რომ ოდესმე აქ, ამ დიდ ნასოფლარში ქართვლის დიდებული მაჯა მძლავრად სცემდაო.

ი. ა.

სამცხე საათაბაგო.

და ცხენებს ჰხოცავენ.

ჩინეთის ადმირალი ტინგი დათხოვნილ იქმნა თავისის თანამდებობისაგან სიმხდალისა და უუნარიანობის გამო. იაპონიის იმპერატორი თავისის მინისტრებით ხიროშიმში მიდის, სადაც ხომალდებზედ სხდება ჩინეთში გასაგზავნი ჯარი. იაპონიის სამხედრო ხომალდი „Hiyel“-ი ამას წინად ბრძოლის დროს ჩინეთის ხომალდმა „Cheoyde“-მ ისე დააზიანა, რომ იაპონიის გზაზედ ზღვაში ჩასძირა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | | გამყიდ-ველისა. | | შესრულ-ლისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,45}$ | | $7_{,47}$ | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_2$ | | $149^1/_2$ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | $239^1/_2$ | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | $226^1/_4$ | |
| $4^0/_0$ მესამე სესხისა. . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — | ,, | — | ,, | $191^3/_4$ | |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . | — | ,, | — | ,, | $101^1/_2$ | |
| $5^0/_0$ . . . . . | — | ,, | — | , | 100 | |
| ქუთაისის ბანკის $6^0/_0$. | — | ,, | — | ,, | $101^1/_2$ | |
| $5^0/_0$. . . . . . | — | ,, | — | ,, | $100^1/_2$ | |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანცუისი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1467)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისისათვის 1894 წლისა

### ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . | 124,966 | 21 | | |
| გირავნობის ფურცლებად . . . | 168,700 | — | | |
| კუპონების ახალ ფურცლებად . . | 46,020 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთა ძველ ტალონებად . . . . | 123,400 | — | 463,086 | 21 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზედ სხვა-და-სხვა ბანკში . . . . . . | 217,997 | 27 | | |
| 3) კორესპონდენტები: | | | | |
| ს.-პეტერბურგის თამასუქების გამანაღდებელი და გამსესხებელი ბანკი | 469,981 | 52 | | |
| ვარშავის საკომერციო ბანკი . . | 16,164 | 09 | | |
| ო. ხაისი ოდესაში . . . . . | 388 | — | | |
| 4) მიბარებულობა: | | | | |
| ა) სახელმ. ბანკის ტფილისის განყ. | — | — | 704,530 | 88 |
| ბ) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებ. | — | — | 60 | 57 |
| 5) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახული სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 85,450 . . . . . | 80,766 | 08 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 139,050 . . . . . . . . | 145,141 | 42 | | |
| გ) კორესპონდენტებთან 56,500 . | 53,670 | 30 | | |
| $^0/_0$ იმ ქაღალდებისა, რომელიც გამოსაცემ გირაოს ფურცლების უზრუნველ-საყოფელია . . . . . | 188,000 | — | 467,577 | 80 |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ $54^1/_2$ წლით 151,598—41. | | | | |
| ბ) მამულის გირაოზედ $43^1/_2$ წლით 141,608—69. | | | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ $27^1/_2$ წლით. 87,286—48 | 380,493 | 58 | | |
| ვადაზედ გადახდ. სესხი 5,127—25 | | | | |
| ვადამდე გადახდ. სესხი 20,579—17 | 25,706 | 42 | 406,200 | — |
| 7) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ 61 წლით და 8 თვით . 1,710,838—15 | | | | |
| ბ) მამულის გირაოზედ 48 წლით და 8 თვით . . . 10,226—67 | | | | |
| გ) მამულის გირაოზედ $43^1/_2$ წლით 837,212—91 | | | | |
| დ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ 36 წლით და 4 თვით 7,669,777—10 | | | | |
| ე) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირ. $27^1/_2$ წლით . 2,880,887—53 | | | | |
| ვ) „ „ „ 29 წლით 9 თვით 39,659—16 | | | | |
| ზ) „ „ „ 19 წლით 11 თვით 119,660—87 | | | | |
| ვადაზე გად. სეს. 50 წ. 6თ. 4,576—86 | 13,272,839 | 27 | — | — |
| ვადამ. გად. სეს. ნაღ. ფულ. 97,050-98 | | | | |
| 8) სესხნი, გასაც. დანიშ. 89,709—75 | 186,760 | 73 | 13,459,600 | — |
| 9) გამოსაცემად დანიშ. გირ. ფურც. | — | — | 198,200 | |
| 10) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | 188,600 | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზედ. . . . | 350,094 | 44 | | |
| ბ) მცირე ვადიანს სესხზედ . . . | 3,568 | 61 | 353,663 | 05 |
| 11) დაცდილი შემოსატანი ფული . . | — | — | 2,387 | 78 |
| 12) ვადა-გასული შემოსატანი ფული . | — | — | 19,247 | 61 |
| ჯარიმა ვადიან გადასახადის შემოუტანლობისა გამო . . . . . | — | — | 8,275 | 56 |
| 13) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . | — | — | 264,307 | — |
| 14) საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები 337,100 . . . . | — | — | 310,822 | 19 |
| 15) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 48,220 | 66 |
| 16) ვადამდე გადახდილი კუპონები . | — | — | 8 | 40 |
| 17) $5^0/_0$ სახელმ. გადასახ. კუპონებისა | — | — | — | — |
| 18) კუპონების დახურდავება და ტირაჟ. გამოსულ გირავნ. ფურც. გამოსყ. | — | — | 21,162 | 96 |
| 19) ხარჯი: | | | | |
| ბანკის გამართვა-მოწყობისათვის . | 2,107 | 60 | | |
| გამგეობა-მართვისათვის . . . . | 30,414 | 04 | 32,521 | 64 |
| 20) ტფილისის სათავად-აზნაურო და წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის ხარჯი, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნას საზოგადო საჭიროების თანხიდგან . . . . | — | — | 12,950 | 16 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 16,961,422 | 47 |

### პ ა ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 189,562 | 18 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის . | 210,761 | 61 | 400,323 | 79 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისს 1874 წლის წესდ. ძალ. | 31,036 | 45 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 153,815 | 79 | 184,852 | 24 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. | — | — | — | — |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია. | — | — | 96 | 60 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა. . . | — | — | 9,538 | 97 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . . | 155,900 | — | | |
| $43^1/_2$ „ . . . . . | 145,300 | — | | |
| $27^1/_2$ „ . . . . . | 105,000 | — | 406,200 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $6^0/_0$—$43^1/_2$ წლით . . . . . | 820,550 | — | | |
| $6^0/_0$—$27^1/_2$ წლით . . . . . | 2.755,150 | — | | |
| $5^0/_0$—61 წ. და 8 თვით . . . | 127,900 | — | | |
| $5^0/_0$—48 წ. და 8 თვით . . . | 6,300 | — | | |
| $5^0/_0$—36 წ. და 4 თვით . . . | 1,090,800 | — | | |
| $5^0/_0$—29 წ. და 9 თვით . . . | 26,900 | — | | |
| $5^0/_0$—უვადოდ . . . . . . | 8,369,000 | — | | |
| 8) $5^0/_0$ უვადო გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი . . . | 188,600 | — | 13,385,200 | — |
| 9) გირაოს ფურც. ტირაჟში გამოსულნი, იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არავალდებულ. თავნ. გადახდისათვის. | — | — | 74,400 | — |
| 10) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულია . . . . . . | — | — | 198,200 | — |
| 11) გირაოს ფურცლები მობარებულნი. | — | — | 5,900 | — |
| 12) ვადამდე მოსასპ. დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. . . . | 89,700 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით. . . . . | 110,288 | 92 | 199,988 | 92 |
| 13) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები, ჯერ წარმოუდგენელი გადასახდელად: | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . . . . | 536.350 | — | | |
| $5^0/_0$ . . . . . . . . | 99,200 | — | | |
| 14) $6^0/_0$ გირაოს ფურცლები პირველკონვერსიის ტირაჟში გამოსულნი | 188,600 | — | 824,150 | — |
| 15) გირაოს ფურც. გადასახ. კუპონები: | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . . . . | 127,069 | 10 | | |
| $5^0/_0$ . . . . . . . . | 237,158 | — | 364,227 | 10 |
| 16) სარგებლის ფონდი: | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . . . . | 119,457 | — | | |
| $5^0/_0$ . . . . . . . . | 245,266 | 89 | 364,723 | 89 |
| 17) თავ. გასასტუმ. ფონდი არა ურთიერთ შორის თავდებ. გაცემულ სესხისა: | | | | |
| $54^1/_2$ წლით. . . . . . . | 599 | 12 | | |
| $43^1/_2$ „ . . . . . . . | 1,086 | 21 | | |
| $27^1/_2$ „ . . . . . . . | 3,441 | 92 | 5,127 | 25 |
| 18) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $6^0/_0$—$43^1/_2$ წლით . . . . . | 3,735 | 51 | | |
| $6^0/_0$—$27^1/_2$ წლით . . . . . | 38,212 | 83 | | |
| $5^0/_0$—61 წ. და 8 თვით . . . | 158 | 29 | | |
| $5^0/_0$—48 წ. და 8 თვით . . . | — | — | | |
| $5^0/_0$—36 წ. და 4 თვით . . . | 6,513 | 09 | | |
| $5^0/_0$—29 წ. და 9 თვით . . . | 223 | 54 | | |
| $5^0/_0$—უვადოდ . . . . . . | 48,207 | 72 | 97,050 | 98 |
| 19) თავნის გასატ. ფონდი არა სავალდებულო გადასახ. იმ გირაოს ფურც., რომელნიც ურთიერთ შორ. თავდ. პირობით არიან გამოცემულნი . | — | — | 17,489 | 28 |
| 20) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . . . | 46,683 | 57 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით . . . | 73,100 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებ. ქაღალდებით | 450 | — | 120,233 | 57 |
| 21) კორესპონდენტები: . . . . . | — | — | 31 | 97 |
| 22) მსესხებელნი . . . . . . | — | — | 213 | 24 |
| 23) დაფასების ხარჯისა და სხ. თანხა. | 82,166 | 07 | | |
| 24) მცირე ვადიან სესხის სარგებელი . | 5,760 | 42 | | |
| 25) ჯარიმა. . . . . . . . | 15,246 | 35 | | |
| 26) სხვა-და-სხვა სარგებელი . . . | 29,599 | 74 | 132,772 | 58 |
| 27) კუპონ. ახალი შესაცვლელი ფურც. | 46,020 | — | | |
| 28) ძველი გასაუქმებელი ტალონები . | 123,400 | — | 169,420 | — |
| 29) $5^0/_0$ სახელმწიფო გარდასახადი კუპ. | — | — | 1,282 | 09 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 16,961,422 | 47 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 31-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.